ტრენინგი ცენტრალური საარჩევნო კომისიის „კონტაქტ-ცენტრის“ ოპერატორებისთვის

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას „კონტაქტ–ცენტრის“ ოპერატორებისთვის.

ტრენინგი ხორციელდება ორ ეტაპად.

I ეტაპი ჩატარდა 2014 წლის 3–4 აპრილს, რომლის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ:

- საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსსა და სისტემას;
- საარჩევნო კოდექსის სიახლეებს; თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების რეგულირებას (პარტიების/საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია; საინიციატივო ჯგუფების რეგისტრაციის წესი; პარტიული სიების წარდგენა; საკრებულოს წევრობის კანდიდატების წარდგენა; მერობის/გამგებლობის კანდიდატების წარდგენა);
- არჩევნებში ჩართული მხარეებისა და მათ უფლებრივ მდგომარეობას (საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი; დამკვირვებელი ორგანიზაციები და დამკვირვებლები; მედია; ამომრჩეველი და ამომრჩეველთა სიები); საარჩევნო დავებსა და მოსარჩელეთა წრეს.

II ეტაპი ჩატარდება, 2014 წლის 10 ივნისს, რომლის ფარგლებში მონაწილეები გაეცნობიან შემდეგ საკითხებს:

- საუბნო საარჩვნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში (ამომრჩეველთა სიები, კენჭისყრის შენობის მოწყობა)
- საუბნო საარჩვნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს
- კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება საარჩევნო უბანში.

ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებს გადაეცემათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები.